

**ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის  
„Biomedical Engineering” პირველი უცხოელი კურსდამთავრებული**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტში 2014 წლის 4 ივლისს გაიმართა



ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის “Biomedical Engineering” („ბიოსამედიცინო ინჟინერია“) კურსდამთავრებულის, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის ნავიდ იზადიმეჰრის სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომის დაცვა. სამაგისტრო ნაშრომის თემა: „ელექტროკარდიოგრამის ეპიზოდების

დეტექტირება და ამოცნობა დროით-სიხშირული ანალიზის საშუალებით“, ხელმძღვანელი ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ირინა გოცირიძე, რეცენზენტი პროფესორი პაატა კერვალიშვილი. სამაგისტრო ნაშრომების შემფასებელმა საკვალიფიკაციო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა როგორც სამაგისტრო ნაშრომს, ისე წარმოდგენილ პრეზენტაციას. მაგისტრანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების ყველა შეკითხვას. ნავიდ იზადიმეჰრმა კომისიის ყველა წევრის მაღალი შეფასება დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ მაგისტრანტ ნავიდ იზადიმეჰრმა, ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის სხვა ბაკალავრებთან და დოქტორანტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო „მექევესე ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარი ფუნდამენტურ მეცნიერებებში, ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი 10 წლისა“ მუშაობაში, სადაც წარმოადგინა სამაგისტრო დისერტაციასთან დაკავშირებული პოსტერი.

ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტი ულოცავს ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის “Biomedical Engineering” პირველ უცხოელ კურსდამთავრებულ მაგისტრს ნავიდ იზადიმეჰრს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას და უსურვებს წინსვლას და შემდგომ წარმატებებს.

